ევროპული კონვენცია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის საერთაშორისო შედეგების შესახებ

ბრუსელი, 1976 წლის 3 ივნისი

ქვემორე ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, საგზაო შემთხვევათა მნიშვნელოვან რაოდენობასა და მათ სერიოზულ შედეგებს;

ითვალისწინებენ, რომ საგზაო უსაფრთხოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საგზაო დანაშაულთა კონტროლი ადექვატური ხერხებით;

ითვალისწინებენ, რომ სხვა პრევენციული და სისხლისამართლებრივი ზომების გარდა, პირის უფლების ჩამორთმევა მართოს სატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ამ თვალსაზრისით;

ითვალისწინებენ, რომ მზარდი საერთაშორისო მოძრაობა ასაბუთებს ძალისხმევათა ინტენსიფიცირებას, რათა მოხერხდეს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და უზრუნველყოფილ იქნას, რომ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მართვის უფლების ჩამორთმევას, გააჩნდეთ ძალა იმ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაც, რომელშიც ასეთი იქნა მიღებული;

ითვალისწინებენ, რომ ასეთი თანამშრომლობა უკვე მოწონებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N(71) 28 რეზოლუციაში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ;

იხსენებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრთა შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I – განმარტებანი

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციაში:

ა. „მართვის უფლების ჩამორთმევა“ (შემდგომში „მართვის ჩამორთმევად“ წოდებული) ნიშნავს ნებისმიერ საბოლოო ზომას, რომელიც გამიზნულია, რათა აუკრძალოს მართვის უფლება მძღოლს, რომელმაც ჩაიდინა საგზაო დანაშაული. ასეთ ზომას შესაძლებელია გააჩნდეს ძირითადი ან დამატებითი სასჯელის ან უსაფრთხოების ზომის ფორმა და შეიძლება გამოტანილ იქნას სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ;

ბ. „საგზაო დანაშაული“ ნიშნავს ნებისმიერ იმ დანაშაულს, რომელიც შესულია წინამდებარე კონვენციასთან თანდართულ „საგზაო დანაშაულთა საერთო ნუსხაში“.

თავი II – მართვის ჩამორთმევის შედეგები

მუხლი 2

ხელშემკვრელი მხარე, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება მართვის ჩამორთმევის შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის თაობაზე ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც გასცა მართვის მოწმობა და ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს დამნაშავე.

მუხლი 3

ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც ეცნობა მართვის ჩამორთმევის თაობაზე შეუძლია, მისი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაწყვიტოს მართვის ჩამორთმევა, რასაც ის მიიჩნევდა აუცილებლად იმ შემთხვევაში, თუ ფაქტები და გარემოებანი, რომლებმაც განაპირობეს სხვა ხელშემკვრელი მხარის ქმედება, სახეზე იქნებოდა მის საკუთარ ტერიტორიაზე.

მუხლი 4

თუ ასე იქნა მოთხოვნილი, ხელშემკვრელი მხარე, რომლის მისამართითაც შეტყობინება იქნა გაგზავნილი, უზრუნველყოფს ინფორმაციის წარდგენას შეტყობინების შედეგად გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯის თაობაზე.

მუხლი 5

წინამდებარე კონვენცია არ ზღუდავს ხელშემკვრელ მხარეთა უფლებას გამოიყენონ მათ კანონმდებლობაში გათვალისწინებული ზომები.

თავი III – პროცედურა

მუხლი 6

1. ხელშემკვრელი მხარეები, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით მიუთითებენ იმ სახელისუფლებო ორგანოებზე, რომლებიც იქნებიან კომპეტენტურები გადაავზავნონ და მიიღონ მეორე მუხლში გათვალისწინებული შეტყობინებები და ნებისმიერი სხვა მიმოწერა, რომელიც შეიძლება განპირობებულ იქნას წინამდებარე კონვენციის გამოყენებით.

2. ასეთ შეტყობინებებს თან უნდა დაერთოს მართვის ჩამორთმევის გამამწესებელი გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და ფაქტების აღწერა.

3. თუ ხელშემკვრელი მხარე, რომლის მიმართაც გაკეთდა შეტყობინება თვლის, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ არის საკმარისი რათა მისცეს მას საშუალება გამოიყენოს წინამდებარე კონვენცია, ის მოითხოვს აუცილებელ დამატებით ინფორმაციას და თუ საჭიროა, საქმია დამოწმებული ასლის გადავზავნას.

მუხლი 7

ხელშემკვრელი მხარეები განავრცობენ მათ წესებს სისხლის სამართლის საკითხებში საერთაშორისო ურთიერთდახმარების შესახებ, რათა მოიცვან ის ზომები, რომლებიც აუცილებელია წინამდებარე კონვენციის გამოყენებისათვის.

მუხლი 8

1. წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის დებულებებით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, შეტყობინების ან დამხმარე დოკუმენტების თარგმანი არ იქნება მოთხოვნილი.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერისას, ან სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადებით შეუძლია დაიტოვოს უფლება მოითხოვოს, რათა შეტყობინებები და ნებისმიერი დამხმარე დოკუმენტები იქნას თანდართული თარგმანით მის საკუთარ ენაზე ან ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე ან ერთ-ერთ იმ ენებთაგანზე, რომლებსაც იგი მიუთითებს. სხვა ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ნაცვალგება.

მუხლი 9

წინამდებარე კონვენციის გამოყენებისას გადაგზავნილი დოკუმენტები არ საჭიროებენ დამოწმებას.

მუხლი 10

ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთისაგან არ მოითხოვენ იმ ნებისმიერი ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც გამოწვეულ იქნა წინამდებარე კონვენციის გამოყენებით.

თავი IV – დასკვნითი დებულებები

მუხლი 11

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ მესამე ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. იმ ხელმომწერი სახელმწიფოსთვის, რომელიც შემდგომში ახდენს რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას, კონვენცია ძალაში შევა რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების შესახებ მისი ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 12

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მისაერთებლად მოიწვიოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების გზით და ძალაში შევა მისი დეპონირებიდას თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 13

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერისას, ან რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გამოყენებულ იქნება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას ან ნებისმიერ შემდგომ დროს შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, განავრცოს წინამდებარე კონვენცია განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიასა ან ტერიტორიებზე და რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასეთ განცხადებაში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, შესაძლებელია იქნას გამოთხოვნილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების მეშვეობით. ასეთ გამოთხოვა ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ გამოთხოვნაზე განცხადების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 14

1. იმ შემთხვევაში თუ, ორმა ან მეტმა ხელშემკვრელმა მხარემ მათი ურთიერთობები ამ საკითხებზე უკვე ჩამოაყალიბეს ერთგვარ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ან აამოქმედეს საკუთარი, უფრო ფართო ვალდებულებების მომცველი ნაცვალგების სპეციალური სისტემა, ან თუ ისინი ამას განახორციელებენ მომავალში, მათ ენიჭებათ უფლება მოაწესრიგონ ასეთი ურთიერთობები შესაბამისად.

2. ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წყვეტენ წინამდებარე კონვენციის დებულებათა გამოყენებას ამ საკითხებზე მათ შორის ურთიერთობებში, აცნობებენ ამის თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 15

1. ნებეისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რამდენადაც ეს მას ეხება, შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინების მეშვეობით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 16

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და წინამდებარე კონვენციასთან მიერთებულ ნებისმიერ სახელმწიფოს:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ. რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის ნებისმიერი დეპონირების თაობაზე;
გ. მე-11 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
დ. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების თაობაზე;
ე. მე-8 მუხლის მეორე პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების თაობაზე;
ვ. მე-13 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების ან შეტყობინების შესახებ;
ზ. მე-14 მუხლის მეორე პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების თაობაზე;
თ. მე-15 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების თაობაზე და იმ თარიღის შესახებ, როდესაც დენონსაცია შედის ძალაში.

მუხლი 17

წინამდებარე კონვენცია და შესაბამისად დაშვებული განცხადებები და შეტყობინებები გამოყენებულ იქნება მხოლოდ იმ საგზაო დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც ჩადენილ იქნა შესაბამის ხელშემკვრელ მხარეთა შორის წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

რის დასტურად, ამაზე შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილმა ხელისმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქ. ბრუსელში, 1976 წლის ივნისის თვის მესამე დღეს, ერთ ასლად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივე თანაბრად აუთენტურია და შესანახად დარჩება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერსა და მიერთებულ სახელმწიფოს.

დანართი

საგზაო დანაშაულთა საერთო ნუსხა

1. მკვლელობა ან უბედური შემთხვევით გამოწვეული ზიანი გზებზე.

2. „შეჯახებითა და გაქცევით“ მართვა, მაგალითად, მძღოლებზე დაკისრებული ვალდებულებების განზრახ დაუმორჩილებლობა, მას შემდეგ რაც სატრასპორტო საშუალება გახდა მონაწილე საგზაო შემთვევისა.

3. სატრასპორტო საშუალების მართვა:

ა. ინტოქსიკაციის ან ალკოჰოლის მოქმედების ქვეშ;
ბ. ნარკოტიკების ან მსგავსი ეფექტის მქონე სხვა ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ;
გ. ზედმეტი დაღლილობით გამოწვეული მართვის უუნარობისას.

4. იმ ავტოსატრასპორტო საშუალების მართვა, რომელიც არ არის დაფარული მესამე მხარის დაზღვევით იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით;

5. პოლიციელის მიერ საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებით მიცემული ინსტრუქციის უგულვებელყოფა.

6. იმ წესების დაუმორჩილებლობა, რომლებიც დაკავშირებულია:

ა. სატრანსპორტო საშუალების სიჩქარესთან;
ბ. მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობასა და მიმართულებასთან, საპირისპირო მოძრაობის შეხვედრასთან, გადატვირთვასთან, მიმართულების ცვლილებასა და გადაკვეთათა დონეების მიმართულებით;
გ. გზის მარჯვენა მხარესთან;
დ. გზის დათმობასთან ისეთი სატრანსპორტო საშუალებებისათვის, როგორიცაა ხანძარსაწინააღმდეგო მანქანები, სასწრაფო დახმარების და პოლიციის სატრასნპორტო საშუალებები;
ე. ნიშნებთან, სიგნალებთან და საგზაო ნიშნულებთან, გასაკუთრებით ნიშნებთან „შეჩერდი“;
ვ. საშუალებების პარკინგთან და გაჩერებასთან;
ზ. ზოგიერთ გზებზე სატრანსპორტო საშუალებებისა და სატრანსპორტო საშაულებების კატეგორიათა დაშვებასთან (მაგალითად, მათი წონისა და მოცულობის გათვალისწინებით);

თ. სატრასნპორტო საშუალებათა და ბარგის უსაფრთხოების მოწყობილობებთან;
ი. სატრანსპორტო საშუალებებისა და ბარგის აღმნიშვნელებთან;
კ. სატრასნპორტო საშუალებების განათებასთან და ფარების გამოყენებასთან;
ლ. სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვასა და მოცულობასთან;
მ. სატრასნპორტო საშუალებების რეგისტრაციასთან, სარეგისტრაციო ნომრებთან და ეროვნულ ნომრებთან.

7. მოქმედი მართვის მოწმობის გარეშე მართვასთან.